

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ-ჰუმიდური ზონის აგროეკოსისტემების რანჟირება

ზურაბ სეფერთელაძე, თამარ ალექსიძე, ნინო რუხაძე

ელ.ფოსტა: zurab.seperteladze@tsu.ge;

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

შემუშავდა დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ-ჰუმიდური ზონის აგროეკოსისტემური რანჟირების მეთოდიკა, აგროკულტურათა ეკოსისტემებისათვის. განხორციელდა აგროკულტურების რაციონალური განლაგებისა და ტერიტორიების სამეურნეო ათვისებისათვის ოპტიმალური ბუნებრივი გარემოს შეფასება მრავალფაქტორული მიდგომით. აქცენტი ძირითადად გაკეთდა გეომორფოლოგიურ (რელიეფის დანაწევრება, დახრილობა, ექსპოზიცია) და აგროკლიმატურ (აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, ჰიდროთერმული კოეფიციენტი, ტემპერატურული რეჟიმი, ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და სხვ.) ფაქტორებზე. ჩატარებული ზონირების შედეგად გამოვლინდა აგროკულტურების გავრცელებისათვის ოპტიმალური აგრორესურსული პოტენციალის მქონე ჰიფსომეტრული საფეხურები და აგროეკოსისტემები.

კვლევის შედეგად მოხდა ეკოსისტემების გამოვლენა, დღევანდელი მდგომარეობის შეფასება და მათი ინდიკატორული ხასიათის დადგენა. შედგენილი რუკის კარტომეტრიულ-გეოინფორმაციული ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა ტყის ეკოსისტემათა ტიპებს, მათს მიერ დაკავებულ ფართობებს და საკვლევი ზონაში მათი ხვედრითი წილის შესახებ საინტერესო ინფორმაციის მოპოვება.